


საქართველოში

ბელარუსურ-ქართული საწარმო გაიხსნება



ბელარუსში ქართული
პროდუქციის მაღაზიის
გახსნა, საქართველოში კი
ტრაქტორების ამწყობი
ერთობრივი საწარმოს
ამოქმედება იგეგმება, –
ამის შესახებ საქართველოს
პრემიერ-მინისტრ
მამუკა ბახტაძისა და
ბელარუსის ვიცე-პრემიერ

მიხეილ რუსის შეხვედრაზე გახდა ცნობილი.

ასევე განიხილება რიფტების ერთობრივი წარმოების თემა, თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში, კერძოდ, საბორნე მიმოსვლის განვითარების პერსპექტივა და ბელარუსიდან წამოსული ტვირთის ტრანზიტი საქართველოში, უკრაინის გავლით.

საუბრისას ხაზი გაესვა დოგისტიკის განვითარების კუთხით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას. მთავრობის მეთაურის დავადებით, ქართულმა მხარემ ბელარუს კორეგებთან სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ორი თვის ვადაში უნდა შეაჯეროს დოგისტიკური საკითხების მოწესრიგების გზები, რაც ორმხრივი ვაჭრობის მნიშვნელოვან ბრდასაც შეუწყობს ხელს.

ბელარუსური მხარე ასევე დაინტერესებულია საქართველოში ტრაქტორების ამწყობი ერთობრივი საწარმოს შექმნით. შეხვედრისას შეთანხმდნენ, რომ შესაბამისი პარტნიორის მოძიებაში მათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დაეხმარება.

ვიცე-პრემიერმა რუსიმ, ამასთან ერთად, გამოთქვა

მზადყოფნა, ბერარუსმა მონაწილეობა მიიღოს თბილისსა და ბათუმში ავტობუსების ჩანაცვლების მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში, ასევე ქართულ ბაზარზე დაინტერესებულ მყიდველს მიაწოდოს ნებისმიერი სპეციფიკაციის რიფტები.

შეხვედრისას ასევე შეთანხმდნენ, რომ ბერარუსური მხარე იმუშავებს მინსკში სპეციალური ადგილის გამოყოფაზე, რომელიც „აგროჰაბის“ კონცეფციის ქართული პროექტის მაღაზიას დაეთმობა.